

1
1959

ნაბ ა. კანდელაკისა



ქართველი
წიგლიერთა
კავშირი

№ 4 თბილისი თებერვალი 1959

საბჭო

ბაზოციონს XXXVII წელი უბანი 2 ზან.



— პატივცემული დირექტორო, ერთხელ მაინც ჩამოსულიყავით მალაროში!
— რა უავი ქვა დამრჩენია იქ!

A. Kandelaki



— თუ ძმა ხარ, რომელ სართულზე ცხოვრობ? —

მუხრე, მუხრე, კარი მუხრე მუნახე

იყო და არა იყო რა; ღვთის უკეთესი საიდან იქნებოდა, იყო ერთი მეფე და ისეთი ლამაზი ქალიშვილი ყავდა, რომ ბრძანსაც თვალს დააპრაწვინებდა: მალალი, ტანკენარი, თვალწარმტაცი. ბრძანა გვირგვინოსანმა — ჩემი ასულის გათხოვების დროა და, სასიქადულო საქმროებო, შემოკრებითო. საიდან და რა მხრიდან ვნებავთ, რომ დარახტული ტაიქები არ მოეგვლებინოთ ახალუღვაშაკორილ მზეკაბუკებს და არ ეცადოთ ბედი. მძიმე იყო პირობა საქეთმპყრობელისა: — ბედის მაძიებელს ისეთი ზღაპარი უნდა ეამბნა, რომელსაც დასასრული არ ექნებოდა, არადა ბედშავისათვის თავი უნდა მოეკეთა სისხლმოწყურებულ ჯალათს. ვინ მოთვლის რანდენს გააგდებინეს თავი, რაკი ყოველი მითვანის ამბავი, რაც არ უნდა გრძელი და შეპერეზადას ზღაპრებით გადაბმული არ უნდა ყოფილიყო, ერთ მშვენიერ საათს თავდებოდა და მათთან ერთად ეღებოდათ ბოლო მათს ენამზე მთხრობლებსაც. მუსრი გაველო სასიძოვებს და ის-ის იყო მეფის ასულს გათხოვების იმედი გადაუწყდა, რომ კიდევ ერთი ქაბუკი ეახლა მეფეს და მოჰყვა ზღაპარს:

— იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი. დიახ, იყო ერთი გლეხი, დიდო მეფეო, და ხნავდა ის გლეხი, თესავდა და მოულობდა ლუქმაპურსდა, აი, ერთ

წელს იმდენი ქირახული მოუვიდა, რომ ვერსად ვერ დაატია, ისეთი უშველებელი ბელელი ააშენა, რომ დიდი ვაეკაცობა იქნებოდა, თვალი შეგეწვდინათ. პირთამდე აავსო ბელელი გლებმა და იმედიანი თვალთ დაუწყო ლოდინი მომავალს, რომელსაც უფრო მეტი ხვავი და ბარაქა უნდა მოეტანა. მაგრამ ამ დროს, სად იყო და სად არა, ბევრი იფრინა თუ ცოტა იფრინა, მოფრინდა ბელურა, შეფრინდა ბელელში და წაილო ერთი მარცვალი, მერე მოფრინდა მეორე ბელურა და წაილო მეორე მარცვალი, მოფრინდა მესამე ბელურა, წაილო მესამე მარცვალი, მერე მეოთხე ბელურამ წაილო მეოთხე მარცვალი... მერე მეასე წაილო მეასე... მეათასერთემ — მეათასერთემ...

და ასე და ამგვარად წაება რიცხვი რიცხვს, ბელურა ბელურას, მარცვალი მარცვალს...

უსმინა მეფემ, უსმინა, უსმინა და ბოლოს იფიქრა, სანამ ბელურები იმ ბელლიდან მარცვალს ასე სათითაოდ გაიტანენ, ჩემი დამემართება და ვაითუ მეორე წლის მოსავალმაც მოგვისწროსო... და ბრძანა: ჯანი გავარდეს, ჩემი ასული ამ აბეზარ მთხრობელს გაჰყვესო.

ეს ზღაპარი, როგორც მოგეხსენებათ, კიდევ იყო და აღარც იყო, მაგრამ ზღაპარი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, იყო და ჯერ კიდევ არის, ამიტომაც, ტრადიციულად, „იყო და არა იყო“-ს ყაიდაზე ველარ მოყვებით, თუმცა...

რამდენი ხანია იყენენ და არიან და იქნებიან დამამზადებელი ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებენ ხახვსაც, ნიორსაც, ვაშლსაც, ზღმარტოსაც და კვერცხსაც კი.

კვერცხი, თუ არ გიჭამიათ, ნახვით მაინც გინახავთ, მრგვალია, ნაჭუჭი აქვს და ნაჭუჭიანად მზადდება.

და აი ეს ღვაწლმოსილი დამამზადებლები, აქეთ გავარდებიან, იქით გავარდებიან, ხან რა ხერხს მოიგონებენ, ხან რას და, ბოლოსდაბოლოს, კვერცხების განსაზღვრულ რაოდენობას მოუყრიან თავს, შეფუთავენ, შემოფუთავენ, ყუთებში ჩააწყობენ და თითო-თითოდ დათვლილს კურორტვაქრობას ჩააბარებენ, ლაყე ერთი არ ურევია, კურორტებზე ავადმყოფებსა და დამსვენებლებს მიაწოდეთ და, უნდათ, მაგრად მოხარშული ქაშონ, უნდათ ტაფამწვარი, უნდათ თოხლოდ მიირთვან, ანდა გოგლიმოგლით ან „ყიყლიყოთი“ ყელი ჩაიტკბარუნონო.

ქათამი იყენება, მაგრამ კურორტვაქრობის მუშაკები როდი იკიციებიან, სმა-ქამის მოყვარული ხალხია და საკენკი მათაც უნდათ. ჰოდა, ამჯერად კვერცხია მათი საკენკი, მაგრამ ისე, რომ კვერცხი კვერცხად რჩება გულიან-ცილიან-ნაჭუჭიანად, მაგრამ საკენკი მაინც რჩებათ და მერე როგორი და რამდენი.

დამამზადებლებმა თუ, ვთქვათ და, 500.000 კვერცხი ჩააბარეს, საკურორტო ვაქრობის მუშაკები უღვაშებში ჩაილიმებენ და 25.000 კვერცხს საჩვენებელ კურორტებს საჩვენებლად გაუგზავნიან, ხომ ხედავთ გამარაგებთო, და ერთ 25.000-ს, წარმოიდგინეთ, მალაზიებშიც კი გაჰყიდინან, დანარჩენი კი დევს საწყობში... თუმცა რაღა დევს, მათი შემსყიდველების არცთუ ისე გრძელი, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი რიგი დგას, ოლონდ შემსყიდველები აქ კოლმეურნობათა თავმჯდომარეებია, დაირიგებენ 450.000 ს, წაიღებენ და ისევ ჩააბარებენ დამამზადებელ ორგანიზაციებს, დამამზადებელი ორგანიზაციები ისევ შეფუთავენ, გადაფუთავენ, ჩააწყობენ ყუთებში და ისევ საკურორტო ვაქრობას მიართმევენ, საკურორტო ვაქრობის მუშაკები ისევ კოლმეურნობათა თავმჯდომარეებს მიყიდინან, კოლმეურნობათა ეს თავმჯდომარეებიც დამამზადებლებს გადასცემენ. დამამზადებლები — საკურორტო ვაქრობას, საკურორტო ვაქრობა — სანარდო შემსყიდველებს და დადის კვერცხი — ეს ხელიდან ხელში საგოგმანები საგანი და იგი ისევ მრგვალია და მრგვალია წრეც, რომელზედაც იგი დაიარება, და ასე და ამგვარად მეორდება და მეორდება ბელურას და მარცვლის ზღაპარი: მოვიდა ერთი ბელურა, წაილო ერთი მარცვალი, მოფრინდა მეორე, წაილო მეორე... ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ერთი და იგივე მარცვალი (ყბადაღებულები და ყბის წერად გასახდომი კვერცხი) გადის და გამოდის, გადის და გამოდის.

ჩემი ეზო

აი, მე ვღვაჯარ ჩვენს ეზოში და თვალს ვავლებ მის ყოველ კუთხეს. ვცდილობ, არაფერი გამომჩინოს. თორემ მერე გვიან იქნება...

განა იგი სხვებისაგან განირჩევა? აქაც დგას ნავით სახეე ყუთი. დილის ძილში წასულეებს ძარღვებს უშლის „ღავარძარღვას“ ძახილი და მეზობლის თავის ფხაკუნს. მაწონიც შემოაქვთ აქ და, რასაკვირველია, მორიგეობით იფინება სარეცხი. მზე კი, სახლმმართველივით თვალს არიდებს მის ჩრდილოვან მხარეებს.

ხალხი? ხალხი აქ ცხოვრობს თავისი ცხოვრებით და მინცღამაინც გული არ შეხტავს სხვის უბედურებაზე. მათ აქვთ თავისი საზრუნავი და, რა თქმა უნდა, საღანძღავიც. მე მსურს, გაგაცნოთ ისინი. დღეს კვირაა და ყველანი ხალხში იქნებიან.

აი, ერთ ხელში ცოცხი რომ უჭირავს და მეორეში ცოცხივით უღვავები, მეუფე იხმაილავს. მან შარშან 15 თახსი მანეთი „ჩაუკლა“ სახმამაროს და ქალიშვილის ხელი თხოვა, პატარაძალი საბარგო მანქანით მოაგრიადეს და მთელ ღამეს ფეხის ბრაგუნს არ შეუწყვეტიათ (თითქოს მათ ქვემოთ კიდეც ცხოვრობდა ვინმე). მალე რძალდემთილი ვერ შეეწყუო ერთმანეთს და ფართობის სიმცირის გამო ოჯახურ სცენებს სუფთა შაერზე მართავდნენ.

აგერ, ღია ფერის „ვოლგას“ რომ აპირალებს, ალექსანდრეა. მან ხუთი წლის წინ ფილმფიფის ფაკულტეტი დაამთავრა და ახლა სახადილოების ტრესტში მუშაობს. ხმა გაავრცელა: მანქანა ლატარიაში მოვიგეო.—თუ ლატარიაში მოიგე, გაზეთში რატომ არ ეწერაო,—ეკვობდნენ მეზობლები. ისე ღირსი კია მანქანის: პირველ ხანებში მთელი დამეგები შიგ იძინა. მაგრამ ცოლის ენერგიული პროტესტის შემდეგ დაუბრუნდა საწოლს.

ალექსანდრეს ბელეტაჟი უკავია. მის გვერდით ცხოვრობს აგრაფინა. ხედავთ რა უმოწყალოდ ურტყამს ჯოხს მტვრიან ფარდას? ახე იცის მუღამ, როდესაც ეზოში სხვისი სარეცხი ჰყვინა. მას ცნობისმოყვარეობის კოლოსალური მარაგი აქვს. არ კითხოთ და თვითონ გეტყვი, რომელ საათზე მოფორთხდა სახლში მთვრალი სარდიონი, რატომ იბარებენ სასამართლოში ივანეს, ანდა, რამდენჯერ ამოაცილა მისი ქალიშვილი კიბეებზე საყელააწეულმა ვაჟმა.

ხედავთ, საპნის ბუშტები რომ მოფრინავს მესამე სართულიდან? ეს პატარა რევიკოა. მას ორჯერ-ორზე უფრო ეს გასართობი იტაცებს. რა ენადვლება: მამამისი საპნის დამამზადებელ ქარხანაში მუშაობს. მამამისს უკვირს: პირს არც ერთი არ ვიბანთ ოჯახში და ამდენი საპონი სად მიდისო. ისე კია: რევიკოს საქმიანობამ ფილოსოფიურად განაწყო მეუფე იხმაილა და ათქმევინა: ცხოვრება—საპნის ბუშტია.

ის ვინაა, თუ იცით, ხალათი რომ აცვია და მკლავებდაკაპიწებულს ტაშტით წყალი მიაქვს? ისიდორე გახლავთ, ბატონო. მან ბავშვის სარეცხი უკვე გაფინა და ახლა იტაკი უნდა მორეცხოს. ცოლს არ სცალია: სარკესთან ზის და გახურებული ლურსმნით თმებს სხვეებს. აბა სულ ხომ არ გადაყვება ქმარ-შვილს? და ისიდორეც ისე შეეჩვია სხსუფთავეს, რომ ფეხს მეზობლის ტილოზე იწმენდს და ისე შედის სახლში.

ჰო, მართლა, ისიდორეს პატარა ოთახი მიქირავებული აქვს ზოვეტინსტიტუტის სტუდენტზე. ალბათ, წუხელის გაღვიძილი მოვიდა და ჯერ არ გაუღვიძნა. მის ოთახში ჟანგბადის სასუნთქებელ ბალიშს ნახავთ, რომელიც პატრონის კარგად უფუნაზე მტყველებს: ტიკადაა გამოყენებული. სხვათა შორის, სტუდენტი საბინაო დეფთარში ჩაწერილი არაა. ეს ყველა იცის. სახლმმართველმა კი თქვა, რომ არაფერი არ ვიცით.

აგრაფინა და ნუცა ყურის მეზობლები არიან. მათ ერთი თხელი გაურემონტებელი კედელი თიშავს. და როგორც ასე ახლო მყოფი ადამიანები, საკმაოდ შორს დგანან ერთმანეთისაგან. აგრაფინას ქმარი საწყობში მუშაობს, მაგრამ ეგ კიდეც არაფერი. იგი უფროების საპატივცემლოდ ხშირად ქეიფებს მართავს. სტუმრებს ჰამის გარდა სიმღერა უნდათ, ცეკვა-ხტუნვა უნდათ. იქნება ნუცა არაა ჯაზ-ორკესტრის ხასიათზე. ქალს დეპუტატის არჩევას ეეთხებიან და მეზობლებმა სტუმრის მოყვანა არ უნდა ჰკითხოთ?

ამას მოყვია ეს, რომ აგრაფინას ოჯახს უწყებით აეგრძალა ღამის 12 საათს შერე შრომისმოყვარე მეზობლის შეწუხება. კარგი აბაო, დაიქადნა აგრაფინამ და როცა ნუცას ქმარი მკვდარივით მიეგდებოდა მკვდარი საათის გასაქეთებლად, რადიოლას ჩართავდა, კარს ოდნავ გამოაღებდა და „მინახშირე ბიჭის“ მელოდიით ტვინს უხვრეტდა.

ხედავთ, მოაჯირზე რომ გადმოსრილა და პრიმას აბოლებს? ეს ახალგაზრდა მეცნიერია მუშაკი თენგიზია. დისერტაციის დაცვაზე ერთმა ოპონენტმა შენიშნა რომ მსგავსი შრომა,

ვილაცის დაცული ჰქონდა კიევში. დისერტანტმა დედ-მამა იფიცა, არ ვიცნობდიო. მეორე ოპონენტმა ეს შემთხვევა ჯოულ-ლემსი მანქანის ლითს შეადარა და აღარ გააშთავს. კიდეც კარგი, თორემ სასი-დეროს დაუტრახებდა: ჩემს ქალიშვილს დაცვებზე ნაკლებს რავა გავატანო.


თქვენ რაღაც კვილი გესმით, არა? ნუ შეუფოთდებით. აქ არც არავინ მომკვდარა და არც საქორწინო თეფშებს იმტვრევს ვინმე თავზე. 27 წლის გაუთხოვარმა ცისანამ გადაწყვიტა, რომ ხმა აქვს და საგამოცდოდ ემზადება. მისი ვოკალური უსუსურობა ძალიან ადარდებთ მეზობლებს, უფრო მეტად კი—მეზობლებს.

აი ეს არის მთელი ანსამბლი, რომელიც ჩვენი ქუჩის № 2 სახლს ავსებს. შეიძლება რომელიმე მათგანი ჩუმად პოეტობდეს, ანდა „ანონიმების“ წერით იყოს გართული. შეიძლება ამ სახლის კედლებში ტალანტი იზრდებოდეს, ანდა მომავალ რევიდივისტს ჰქონდეს თავშესაფარი. მაგდენი აღარ ვიცი. რაც ვიცოდი, ხალხით მოგახხენეთ. და იცით რატომ? ქალაქის საბჭოს დადგენილებით მალე სახლი № 2 აღიგვება პირისაგან მიწისა. მის ადგილას დიდი სახლი უნდა აშენდეს. ჩვენ ალბათ, სხვადასხვა ადგილას გავგანაწილებდნენ. ვინ იცის, იქნებ ველარასოდეს შეგვხვდეთ ერთმანეთს.

მერეა და იქნებ თქვენს მეზობლად შემოასახლონ რომელიმე მათგანი. ცოტა რამ ხომ უნდა იცოდეთ მათ შესახებ?

ჰარკი ჰარალიშვილი

ნან. ნ. მალაზონიასი



— რატომ მიჰერ, კაცო?
— უკანა კარებიდან სპეკულანტებს რომ თოფს ესვრი, იმიტომ.

ბათლომეს თავგადასავალი

მწერალმა ბათლომე წვრილაძემ ცხოვრებასთან დაახლოებისა და ხალხში გასვლის მიზნით შემოქმედების ღუზა ბორჯომში დაუშვა.

ამ აქრიაშულბულ აგარაკზე ბათლომეს ირგვლივ უამრავი ცოცხალი მასალა აღმოჩნდა. ყოველი ბავშვი ლიტერატურული დამუშავებას მენტს თითქმის არაფერს მოითხოვდა. ერთხელ ბათლომემ ტყისპირად განმარტობით მჯდომარე თერთმეტ-ორმეტი წლის ბიჭუნა დაიმარტოხელა.

- სადაური ხარ, ბიჭიკო?
- თბილისელი.
- მოგწონს აქაურობა?
- მომწონს... მე და ჩემი ამხანაგები აქ ომობანას ვთამაშობთ. ერთხელ საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მოვყვით მე, კოლკა და ვასკა... დიეჟრსანტებიც დავაკავეთ...

— შემდეგ, შემდეგ.
ბ.ჭი საინტერესო თავგადასავალს ყვებოდა, ყვებოდა დაწვრილებით და გატაცებით. ბათლომეს სიხარული ყოველგვარ სახლვარს ცილდებოდა.

ლიტერატურული მადანი აღმოჩენილი იყო. რამდენიმე უძილო ღამე მიუძღვნა მწერალმა მის დამუშავებას და მშვენიერი საბავშვო მოთბრობა თბილისში, ერთ-ერთ რედაქციაში გააგზავნა. იგი უკვე ჰონორარის მიღებაზე ოცნებობდა, რომ ტელეფონის ხარმა გაიწკრილა.

რედაქციიდან რეკავდნენ.

- მწერალი ბათლომე წვრილაძე გისმენთ!
- შემდეგ ყურმილიდან მორიდებული ხმა მოისმა:

— არკადი გაიდარის მოთბრობის თქვენი თარგმანი მოისუსტებს, იქნებ კიდე გადახედოთ დედანში ზოგიერთ ადგილებს...

კიდეც კარგი, ამ ცნობას ბათლომე სავარძელში ჩამჯდარი დაუბნდა.

ღმვან სულავა

ზოგადი კითხვები

საბჭოთა კავშირის
საბავშვო ჟურნალი

ამხანაგი ჩაღმუხიდან

როგორ ვიყავი ორიგინალური

ერთ დღით დამლაგებელმა ქალმა გვითხრა: სამივეს დირექტორი გე-
ძახითო.

აღდექით და ტარასი ლუკინთან დაგაკუენეთ.

— შემოდით, — გვითხრა დირექტორმა.

— გაიცანით, ეს ამხანაგი ადგილობრივი გაზეთის რედაქციიდანაა, დიდი-
ძე. ამხანაგ დიდიძეს სურს ახალგაზრდა დამსვენებლების შესახებ რეპორტაჟი
გააკეთოს, მე კანდიდატურა დავუსახელებ.

როცა გარეთ გამოვედით, დიდიძემ გვკითხა:

— ათვალე რებოტ ჩვენს გაზეთს?

— აქ კი, მაგრამ თბილისში არ იშოვება.

— აუცილებლად გამოიწერეთ და წაიკითხეთ. თითქმის ყველა ნომერში
ჩემი სტატიაა. მე სურათების გადაღებაც მეხერხება. ფოტოებზე სხვა გვარს
ვაწერ. ჩემი ფსევდონიმია...

ჩვენ შევაჩერეთ.

შემდეგ დაიწყო ინტერვიუს აღება.

— მაშ თბილისიდან ხართ, არა?

— დიხ. სვანეთის უბანში ვცხოვრობთ.

— ახლა ის მითხარით, რას აკეთებთ?

— სად, სვანეთის უბანში?

— არა, აქ, სანატორიუმში.

— ვჭამთ ბორშს.

— ეს არ კმარა. ჭამის გარდა, კიდევ რას აკეთებთ!

— კიდევ, დავდივართ ზღვაზე.

— როგორი იქნება თქვენი შთაბეჭდილება ზღვის შესახებ?

— ზღვაში ბევრი წყალია.

— კულტურული დასვენების შესახებ რას იტყვიან?

— სულ დასვენებული ვართ.

— სპორტული თამაშებიდან რომელი გიტაცებთ? — შეეკითხა კორესპონ-
დენტი ნიკოს.

— კოჭი.

— ჭადრაკს არავინ თამაშობთ?

— ჩემი ძმა თამაშობდა, სანამ უნივერსიტეტს დაამთავრებდა.

— დიდი მადლობელი ვარ, — გვითხრა კორესპონდენტმა, — ახლა მომიძებ-
ნეთ პროფესორ თუხარელის ქალიშვილი. მერე სურათებს გადავიღებთ და
ამით დავამთავროთ.

გავიდა სამი დღე და გაზეთშიც გამოჩნდით — მე, თენგიზი, ნიკო და
ლონდა. ვიდექით ზღვის პირას და კენჭებს ვაგროვებდით. გადავწყვიტეთ
რედაქციაში წავსულიყავით მადლობის სათქმელად.

ჩვენი ნაცნობი კორესპონდენტი პროზისა და პოეზიის განყოფილებაში
ვწახვით. როცა შევედით, ფარნაოზ შეწირულთან საუბრობდა.

— გამარჯობათ!

— ხალამი, ხალამი!

— ჩვენ მოვედით, რომ...

— სამწუხაროდ, თქვენი ლექსების წაკითხვა ვერ მოვასწარი, ხვალ გამო-
იარეთ.

— ჩვენ ლექსებს არ ვწერთ. ჩვენ თქვენი რეპორტაჟის გმირები ვართ.

— აა, ახალგაზრდა დამსვენებლები, არა? ცოტა ხანს მაცალეთ, ავტორს
გავისტუმრებ და შემდეგ.

ფარნაოზ შეწირულმა რვეული გაშალა.

— მე მოგიტანეთ ლექსები საკლამურნო თემაზე.

— კარგი, დატოვეთ.

— როდის დამიბეჭდავთ?

— ჯერ ვნახოთ. პასუხისათვის ერთ კვირაში გამოიარეთ.

— ჯერ ეს ქაღალდი წაიკითხეთ.

— რა ქაღალდი?

— დახასიათება სამუშაო ადგილიდან!

„ამ ცნობის წარმომდგენი ფარნაოზ შეწირული ნამდვილად არის კოლ-
მურნეობა „პირველი სხივის“ მეორე ბრიგადის წევრი. გამგეობის ყველა
დავალეზას პირნათლად ასრულებს. გამომუშავებული აქვს შრომადღეების
სავალდებულო მინიმუმი. კოლმურნეობის გამგეობა გვაუბებთ დაუბეჭდოთ
რჩეული ლექსები. რაზედაც ხელს ვაწერ კოლმურნეობა „პირველი სხივის“
თავმჯდომარე... ხელწერა“

— და... ხომ გითხარით, ერთი კვირის შემდეგ შემოიარეთ.

— კარგი, ერთ კვირაში პიესას დავწერ და იმასაც მოგიტან.

ფარნაოზ შეწირული წავიდა და დიდიძემ ჩვენთვისაც მოიხალა.

— მაბატეთ. ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ. თქვენ რა გინდოდათ გეთქვათ?

— მაღლობა. ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ.

დიდიძეს ხელი ჩამოვართვით.

— მადლობისათვის რას წუხდებოდით, — გვითხრა მან, — გაისად რომ ჩა-
მოსვალთ, თქვენს შესახებ ნარკვევს დავწერ.

თავიდან ისე მოხდა, რომ ამ ზაფხულში მეცა ლონდასთან დამაკავშირა.
„შენ უნდა უპატრონო ლონდას“ — მითხრა პროფესორმა თუხარელმა წა-
მოსვლის წინ. მე პირობა მივეცი და აი უკვე თითქმის ერთი თვეა ვპატ-
რონობ.

— მაინც რაში გამოიხატება ეს პატრონობა?

— სიმონ, მაზარში მივდივარ, ანაწა წამომიღე!

— სიმონ, მაროყნი მიყიდე!

— სიმონ, ტანსაცმელს უყურე!

და სიმონსაც მიაქვს ჩანთა, ციფლოზს „მაროყნს“, უყურებს ტანსაცმელს.

— სიმონ, ზღვაში რომ ვიხრჩობოდე, რას იზამ?

— აბასატელს დავუძახებ.

დღიოდლე ლონდას გავლენის ქვეშ ვაქცევი.

— სიმონ, შენ ძალიან გამოიყვალე, — მითხრა ლონდამ, — ცუდ სიზმრებს
ხომ არ ნახულობ?

— ვერ ვასწრებ ნახვას, რადგან ცოტა მიძინავს.

— სიმონ, შენ არა გაქვს ფანტაზია, — შენიშნა ლონდამ, — ახლანდელ ეპო-
ქაში ასე არ იცვამენ.

— მე თბილისში რომ ჩავალ და მამაჩემი შრომადღეების ფულს აიღებს,
ახალ კოსტუმს ჩავიცვამ.

— ახალზე არაა საქმე, მთავარია გვევას ორიგინალურად.

— მე თბილისში რომ ჩავალ, ორიგინალობას დავიწყებ.

— კი მაგრამ, აქ ყოფნამ რა დააშავა?

— თუ საჭიროა, აქაც ვიქნები ორიგინალური.

— აბა შენ იცი, თუ თავს გამოიჩენ, კონცერტზე წაგიყვან.

მე ძალიან მიხილდა ლონდასთან ერთად კონცერტზე წასვლა, ამიტომ
გავიპარსე წვერი, დავფარცხნე თმა, დავიხეხე კბილები, ტანზე ჩავიცვი თეთ-
რი ხალათი, შავი შარვალის და ასეთივე ფერის ფეხსაცმელები, რომლებიც
ნიკომ მათხოვა.

— სიმონჩიკ, დენდს არ დამსგავსებხარ? — გაიცინა ლონდამ.

— მაშ მოგწონს, არა?

— აბსოლუტურად არ მომწონს. ასე ხომ მთელი თბილისი იცვამს, სოფელ-
შიც უკვე ამნაირად დადიან.

დამმარბული დავბრუნდი პალატაში.

— რა იყო, სიმონ, ფეხსაცმელებმა ხომ არ მოგიჭირა?

— ნეტავი თქვენ, სულ ჭკუამხიარული რომ ხართ.

— გვითხარა, რა მოგივიდა, ეგებ გიშველოთ.

— კარგი, გეტყვი, აბა ამხსენით როგორ უნდა იყვე ორიგინალური.

— ორიგინალური? — გაიმეორა ნიკომ, — ჩვენს უბანში ცხოვრობს ერთი
ბიჭი. ზაფხულში კალოშებს იცვამს. ამბობენ გოგოები გიჟდებიანო.

— მეც ჩავიცვამ კალოშებს, მაგრამ სად არის.

— რომ იყოს, არც ღირს, რადგან გამოიყვანა იქნება.

— მაშ ფეხშიშველი გავიარ.

— ახლა ვერ შეძლებ, ცხელი ქვები ფეხს დავწვავს.

— კარგი, ფეხები ჯანდაბას, მაგრამ ტანზე რა ვქნა.

მთელი ღამე არ მიძინებია. მეორე დღეს ჭამის მადა არ მქონდა და ზღვა-
ზეც აღარ წავსულვარ. ის იყო თვალის მოტყუება დავაპირე, რომ შემო-
სულმა თენგიზმა გამაღვიძა.

— აღდექი, ლონდა გეძახის.

თუხარელის ქალიშვილი იქვე კარებთან იდგა.

— სიმონ, როგორ საოცრად გამოიყვალხარ!

— უძილო ვარ და იმიტომ.

— მერე სულ ნუ დაიძინებ, ასე თუ იქნება. მშვენიერი ფერი გაქვს სახე-
ზე, თმებიც როგორ დავიყენებია, ტანსაცმელიც გიხდება.

ხვალ კონცერტზე წავიდე.

— მაშ, ტანსაცმელს დამოვიცვლი, თმებს გავიკრებ, წვერს გავიპარსავ და...
მოულოდნელად ლონდამ ხელი ჩაიჭინა და სწრაფად გამშორდა.

— ლონდა! — დავედევნე უკან.

— არ მომეკარო!

— გაშავებინე, რაშია საქმე?

— წადი, წადი. წვერი გაიპარსე, ბანტი გაიკეუე და მერე კაფეში დაიწყო
ოფიცინატობა.

— გამიგონე, ლონდა, მე მთელი ღამეები არ მიძინავს, მე ძალიან მიხდა
ვიყო ორიგინალური.

— პირიქით, სიმონ, შენ დიდი ორიგინალური ვინმე ხარ!

(გაგრძელება იქნება)

ა. საგსონია

ბოჩოლას ჩივილი

ერთი საბრალო ბოჩოლა ვარ. ე. ი. ხბო. თუ მაძლარი ვარ, შეკუნტრუშება მიყვარს, თუ არა და, არა. რასაც მასმევენ, ვსვამ, რასაც არა, ღმერთმა შეარგოთ. ერთის სიტყვით... სიტყვამ მოიტანა, თორემ მე რა მეტყველი მნახეთ. ჩემს წინაპრებს პირუტყვს ეძახიან და მეც პირუტყვად მზრდიან, თორემ პირუტყვებიც რომ ამეტყველდნენ, მაშინ იმდენი სიმართლე... თუმცა რაღა სინართლე... იმდენი სიმართლე გამოძვლადნება, რომ ჩვენი კოლმეურნობის ბულალტერიც ვერ დაითვლის. ისე, როგორც ძროხები ამბობენ, თვლა ძალიან ყვარება ჩვენს ბულალტერს. ალიონზე რომ ადგება და დედაჩემის რძეს მიირთმევს, მერე შებინდებამდე ითვლის და ითვლის თურმე. ითვალს, ითვალს. სანამ არ მოეწყინება. მაგრამ. თუ კაცია, მე თავი დამანებოს, ხალხში არ უცხოვრობა? აბა რაღა სასიამოვნოა კაცმა პირში ლუკმა დაკითვალს. თუ მაჭმევ, ბარელამ მაჭამე და შემარგე. არა და იქნება უშენოდაც არ მოგვკვდე მშვირი, ქვეყანა ფართოა და ბალახბულახითა დაფარული. მე სწორედ ეგ ბულალტერი მგონია ჩემი მტერი. ხომ გითხარი, ჩვილი ხბო ვარ-მეთქი და თბილი რძისათვის ნორჩი კბილები მიკაწკაწებს, მაგრამ ერთი დღის დასაღვეს ორ დღეს რომ მასმევენ და ბულალტერი რომ მაინც ორმაგად წერს, რატომ ავიწყდება კაცი რომაა და შლიაბა რომ ხურავს, ასეთი საქციელი რომ არ ეკადრება.

თურმე დედაჩემზე ამბობს, ბევრს არ იწველებათ! დედას ვფიცავდა რომ ბევრს იწველება. მისი ერთი დღის წველა ოთხი დღე მეყოფოდა. მაგრამ ბულალტერი ჩვენს ოჯახზე გადამტერებულა, არ ვიცი ვინ აწყენინა იმ ოჯახქორს, საიდან აქვს ეს კერძო ინტერესი! დედაჩემს წველაღობას უწუნებს, მე კი ღორმუცლობას მწამებს: ერთი ლიტრი რძე რომ დავლიო, კო ლიტრს ანგარიშობს და თავს მჭრის მთელ ჯოგში მამა არც კი ვიცი ვინა მყავს, დედაჩემს კი ჩემთან არ უშვებენ და აბა ვიღას შევჩვილო ჩემი გასაქორი.

კიდევ კარგი, რომ პირუტყვი ვარ



ნახ. ნ. მაღალაშვილისა

წინდაუნაღაპი გლიქვნელი

— რატომ არის ეს ადგილი ცარიელი?
— თქვენთვის მაქვს შენახული, ბატონო.




ნახ. რ. მახარაძისა

— რამ ვააცოფა ეს რევიზორი?
— აბა რა მოუვა, მესამედ გვახოწმებს და დანაკლისი ვერ აღმოაჩინა!



— მესხიერება გლალატობს, ჩემო ქეთევან.
— ნეტავ მართლა მღალატობდეს, შენი ღალატი დამავიწყდებოდა.

„სუდიკოს“ მოვიპაე
თანაბურთუ რთბანტუ
კრტიკულ წერტილს ვუძებდი,
ღრმა ანალიზის მაგივრად
ყველგან დაძისვდა რეღუპვი.
ალხან ჩალხანიძე



უტექსტო ხუმრობა ა. ერაძისა

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, ხაერთო განყოფილებების—2-13-29.

გამომც. № 4. ხელმოწ. დასაბ. 12/II-1959 წ. კალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეკვ. № 163. უფ. 01608. ტირ. 40.000.

ამდენ ხანს ქალი
ორგზის წყეული მეგო-
ნა, ერთი წყნეთში წას-
ვლაზე რომ დამიწყე-
ბდა ლაპარაკს და მეო-
რე — ზღვაზე. მასაც
ვწყევლიდი და საკუ-
თარ თავსაც. მაგრამ
წელს მივხვდი, რას
ნიშნავს სამგზის წყე-
ული ქალი, როდესაც
ჩემმა თანამეცხედრემ
ბაკურიანში წასვლის
უღტიმბატუნო წამიყუ-
ნა.

— ჩემთვის შარვა-
ლი და ზედა თბი-
ლი პიჟამა შესაკერი, აბა, დატრიალ-
დი ჩქარა, კარგი ნაჭერი მიშოვე სად-
მე, თბილი, შინდისფერი.

— გაგიჟდი, ქალი! რად გინდა შარ-
ვალი? აგერ ჩემი გალიფე ჩაიცვი
ცოლმა თავისი გაიტანა და სათბი-
ლამუროდ გამოგვაწყო.

— აბა, პასკუია, დატრიალდი, ბავშ-
ვებისთვის ციგა და ჩვენთვის თბილა-
მურებია საჭირო. იცოდე, ავსტრიული
ან შვედური. ჩვენებური არ გამაგონო.

დავტრიალდი, დავბზრიალდი, მაგ-
რამ ვერც ციგა და ვერც თბილამურე-
ბი ვერსად ვიშოვე.

— ბაკურიანში იქნება ან გასაყიდი,
ან გასაქირავებელი და იქ ვიშოვით.—
დაცამზვიდე გააფთრებული ქალი.

ბარგებზე და ერთმანეთის ზურგებზე
შემჯდარი გავემგზავრეთ ბაკურიანი-
საკენ. პატარა ორთქლმავალი იჭაჭე-
ბა, კვნესის, ხვნეშის...

— თვრამეტ კილომეტრს ორ საათში
ფარავს ეს მატარებელი.

— საამაყოა პირდაპირ.
ბაკურიანში ჩავედით.

— დედა, რა ბუნებაა, რა მთები,
რა ნაძვნარი!.. რამოდენა თოვლი, აგერ
ყინულის ლოლუები, — აღფრთოვანე-
ბულია ჩემი ცოლი.

— ანტარქტიდაში წავიდოდი, თუ
ამდენს ვიწვალედი, თოვლიც ბევრია
და ყინულიც.— ვიბღვირები მე.

— აბა, კარგი ბინა იაფად, „პრუ-
ჟუნიანი“ საწოლები.

— არიქა, მიშველე, დავიხოცეთ
ხალხი მგზავრობით.— ვეცი „პრუჟუნია-
ნი“ საწოლების პატრონს. მარხილი
გასრიალდა. „მართლაც რა დიდი სია-
მოვნებაა“, გავიფიქრე მე და მარხი-
ლიც გაჩერდა.

— მოვედით. გაისტუმრე, „ხაზეინ“,
მარხილი.

— რამდენი მოგართვათ? — შევეხმა-
ტკბილედ მარხილის პატრონს.

— ხუთი თუმანი, — იურ მოკლე პა-
სუხი და ნათქვამის დასადასტურებლად
ხუთი თითი ამიშვირა ცხვირწინ.

— რას ამბობ, კაცო, ორი ნაბიჯიც
არ გაგვივლია. მარხილია, ვერტმფრე-
ნი ხომ არ არის.

— ნუ მჭრი თავს, ნუ ევაჭრები, მიე-
ცი, კაცო! — ჩაერია მომრიგებელ მოსა-
მართლედ ჩემი ცოლი, შევედით უმა-
გილო, უკარადო, გამურულ ოთახში.
მხოლოდ საწოლები იყო ერთიერთმა-
ნეთზე მიწყობილი.

— აი, თქვენი ოთახი, კეთილად დაის-
ვენეთ. „კოიკა“ თხუთმეტი მანეთი.
ხუთი სული ხართ, სამოცდათხუთმეტი.

— რას ამბობთ, რა დამასვენებს,
რა ამბავია, გაგიჟდით?! — დავავლე
ბარგს ხელი.

— სად მიხვალთ, ყველგან ასეთი
ფასებია. თუ კარგი სეზონი იქნა, შეიძ-
ლება ოცადაც ველარ იშოვოთ.

— არ მინდა, სასტუმროში წავალ,
საუკეთესო „ლუქსი“ სამი თუმანია.

— რომელ სასტუმროში? — გაეცინა
ჩემს მასპინძელს, — 1946 წელს რომ
დააპროექტეს და ჯერ საძირკველიც
არ ჩაუყრიათ?

— პანსიონატში წავალ.

— კაცო, სად გგონია შენი თავი, აქ
ბაკურიანია, ძმაო, აქ რა უნდა პან-
სიონატს ან სასტუმროს!

— მაშინ ორ საწოლს ავიღებ და დავწ-
ვებით ერთიერთმანეთზე, სხვა რა გზაა,
ჩამოსული ვარ, უკან ხომ ვერ წავალ!

— კეთილი, თქვენი ნებაა. მაგრამ ამ
საწოლებს ხომ ვერ გა-
ვაცდენ, მეორე ოჯახს
დავაყენებ თქვენს ოთ-
ახში. იოლად გასვალთ.

— და მასპინძელმა ჭიშ-
კარზე მომდგარ ბინის
მაძიებელ ახალგაზრ-
დებს მოუხმო. — მო-

დით, ბიჭებო, მოდით,
ახალგაზრდები ხართ,
თითო საწოლზე ორ-
ორი — სამ-სამი დაწვე-
ბით, არა უშავს, იო-
ლად გასვალთ.

ახალგაზრდებმა
ჯერ საწოლებს შე-

ხედეს, მერე ჩემს ცოლს, ერთმანეთს
თვალი ჩაუკრეს და დათანხმდნენ. მაგ-
რამ აბა მე იქ რა მომასვენებდა და
დავტოვე „გულკეთილი“ სახლის პატ-
რონი.

ძლივს ვიშოვე ორსაწოლიანი ოთახი.
გავვითავდა ჩატანილი სანოვარე. და-
ვიწყეთ საჭმელ-სასმელის ძებნა.

— კვერცხი ორი და ათი შაური,
წყვილი ხუთი მანეთი. — მშვიდად მო-
მიგო დიასახლისმა.

— ?

— რძე ექვსი მანეთი ლიტრა.

— ?

— ხახვი ექვსი მანეთი. კარტოფი-
ლი — 4 მანეთი, ქათამი — ასი...

— გაგიჟდით, ხალხო! — ამოვიღრია-
ლე მე. — პატრონი არ ჰყავს ამ ბაკუ-
რიანს?!
ქართული
საბავშვო ჟურნალი

— პატრონი რომ ჰყავდეს, ელექტრო-
რონსა და რადიოს გვადირსებდა.

— არ მინდა, წავალ, კოლმეცხრობა-
ში ვიყიდი სანოვარე.

— კოლმეცხრობას რესტორანი აქვს
მარტო. წადი და ისადილე, თუ ბიჭი
ხარ. ერთი თვის სანარჯჯავს ერთ ღღეს
დაგახარჯინებენ.

— ვაიმე, ცოლ-შვილო, დავრჩით
მშვივრები. — ამოვიგმინე და ამღვრეუ-
ლი თვალებით გადავხედე ცოლს.

— ციგას და თბილამურებს რა უნდა
ბაკურიანში! — ერთხმად შემომძახეს
კურორტვაჭრობის მუშაკებმა.

— მაშინ გასაქირავებელი მაღაზია
მიმასწავლეთ-მეთქი. — ამაზე სიცილით
დაიხოცნენ და ეჭვის თვალით დაუწყ-
ეს ყურება ჩემს გონებრივ სიჯანსა-
ღეს.

— შეი, ბაკურიანელებო, ახალი გა-
ზეთი მაინც წამაკითხეთ!

— შენ, ძმაო, საკითხავად ხარ ჩა-
მოსული თუ სასრიალოდ? დარჩებო-
დი თბილისში. თოვლი თუ არ მოდის,
გაზეთები მაინც გაქვთ უხვად.

ბედს დავემორჩილე და წავედით
„ბათინკებით“ სასრიალოდ. რა ნახა
ჩემმა თვალებმა?! ქალი, კაცი, ბავშვი,
მოხუცი და ახალგაზრდა ბუზებივით
იჩვენებენ ერთმანეთში.

შემდგარან თბილამუ-
რებზე და ხეზე და
ყინულზე ხეთქებით
იპოვენ თავ-პირს, ისა-
ხიჩრებენ ხელებს, ფე-
ხებს, წელს.

— ხალხო, რამ გა-
დაგრიათ. ვინც იცით,
იქით ისრიალეთ, ვინც
სწავლობთ და არ იცით,
აქეთ. თბილამურებით
იმ გორაკზე, ციგებით
ამ გორაკზე, აბა ჰე...

— შევუდექი წესრიგის
დამყარებას.

ჩემი სიტყვები ქალის ამაზრუნმა
კვილმა დაჰფარა.

— ვაი შენს პატრონს! — შეიცხადა
ჩემს გვერდში მდგომმა.

— ჩემ... — წამომცადა მე და ყურე-
ბამდე გავწითლდი. ჩემი ცოლი და ვი-
ლაც აუღაყუღა ერთმანეთზე ჩაფსკე-
ნილ-ჩამარყუებული მოგორაობდნენ.

კიდევ კარგი, რომ შარვალი ეცვა, თო-
რემ... აბა რაღა წესრიგის დამყარება
შემეძლო ჩემი ცოლის შემხედვარეს.

დავტოვე ბაკურიანი და ცოლ-შვილი.

ეჰ, გაუშვით ცოლ-შვილი ბაკურიან-
ში! თქვენც ნახეთ ერთი როგორი სანა-
ხავია!

— ?

— ?

